სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№MDF/D/C/0-78--2013

ქ. თბილისი „19" სექტემბერი 2013წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია"(შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თველს, თუ ხელშეკრლებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
2.1 ერთის მხრივ, **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "სასტუმრო ყაზბეგი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბ-ნი ანდრეი ვასოვის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3.ხელშეკრულების საგანი
3.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას 2013 წლის 11-13 სექტემბერს დაგეგმილი საავტომობილო გზებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მესამე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე სტუმრების კვების მომსახურების ორგანიზებას (CPV 55520000) ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი
4.1. კვების მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ა/წ 13 სექტემბერს, 40 პერსონაზე.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. ყაზბეგი, სასტუმრო ყაზბეგი

5.ხელშეკრულების ღირებულება
5.1.ხელშეკრულების ღირებულება მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 4,636.10 (ოთხი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი და 10/100) ლარს.
5.2. კერძის/სასმელის დასახელება, ერთეულის ფასი, კერძის/სასმელის რაოდენობა მოცემულია დანართ N1-ში.

6. ანგარიშსწორების პირობები
6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) ფორმით სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 100%-ის ფარგლებში.

6.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველს გაუწიოს კვების მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.4. უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება აღნიშნული ტიპის მომსახურებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2.უარი განაცხადოს არაჯეროვნად მიწოდებული მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბ-ნი დავით გოგლიძე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1.მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან"

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"	შ.პ.ს „სასტუმრო ყაზბეგი"
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150	ს/კ 404902254
ს/ს ბანკი რესპუბლიკა	მისამართი: 26 მაისის მოედანი N1
ბანკის კოდი № 220 101 757	ს/ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE34BR0000010975120582	ბანკის კოდი BAGAGE22
	ანგ. # GE63BG0000000346977600
----------	----------
ელგუჯა ხოკრიშვილი	**ანდრეი ვლასოვი**
აღმასრულებელი დირექტორი	**გენერალური მენეჯერი**

4,636.10 (ოთხი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი და 10/100) ლარი.

დანართი #1

N	კერძის დასახელება	თითო ულუფის ფასი დღგ-ს გარეშე	40 კაცზე კერძის რაოდენობა	ჯამი დღგ-ს გარეშე
1	ბადრიჯნის და პომიდვრის პიკანტური სალათი	6.9	8	55.20
2	ქართული კიტრი პომიდვრის სალათი	8.9	11	97.90
3	სალათი ცეზარი ქათმით	11.9	8	95.20
4	ქათმის სალათი ქარით,იმბირით და ქოქოსის რძით	11.9	8	95.20
5	ხბოს ხორცის სალათი კუნჟუტის მარცვლებით	12.9	8	103.20
6	ხაბიზგინა (8 ნაჭრიანი)	8.9	8	71.20
7	ხაჭაპური (8 ნაჭრიანი)	9.9	8	79.20
8	ლობიანი (8 ნაჭრიანი)	8.9	8	71.20
9	მჭადი 1 ცალი	1.9	12	22.80
10	ნადუღი პიტნით	5.9	9	53.10
11	მწნილის ასორტი	5.9	9	53.10
12	მექსიკური კარტოფილი	6.9	9	62.10
13	ქართული ყველის ასორტი	8.9	9	80.10
14	ფხალის ასორტი	9.9	9	89.10
15	ღორის ხორცის მწვადი	9.9	8	79.20
16	ხბოს ხორცის მწვადი	14.9	8	119.20
17	აფხაზური გლეხური კარტოფილით	9.9	8	79.20
18	მეგრული კუპატი	12.9	8	103.20
19	სნოს ხეობის კალმახი	15.9	15	238.50
20	ჩაქაფული	15.9	8	127.20
21	წიწილა შქმერულად	18.9	8	151.20
22	სოკო კეცზე	10.9	8	87.20
23	სოკო კეცზე სულგუნით	15.9	8	127.20
24	ბაჟე	5.9	15	88.50
25	გოჭი 1 ცალი	220	2	440.00
26	საწებელა	0	8	0.00
27	ტყემალი	0	8	0.00
28	პური	0	8	0.00
		თანხა დღგ-ს გარეშე		2,669.20
		დღგ		480.46
		თანხა დღგ-ს ჩათვლით		3,149.66
	სასმელები	1 ბოთლის ფასი დღგ-ს გარეშე	რაოდენობა	ჯამი დღგ-ს გარეშე
1	კოკა-კოლა	2.9	8	23.20
2	ფანტა	2.9	9	26.10
3	წყალი	1.9	13	24.70
4	ბორჯომი	1.9	14	26.60
5	თელიანი ველი " წინანდალი"	22.9	25	572.50
6	ხილის ასორტი	7.9	8	63.20
7	თურქული ყავა	2.9	5	14.50
8	თელიანი ველი "საფერავი"	24.9	4	99.60
9	ლუდი " ზედაზენი"	4.9	4	19.60
10	ვისკი "ჯეიმსონი"	7.9	20	158.00
11	კაპიჩინო	3.9	1	3.90
12	ვისკი "ჯეიმსონი"	142.9 (1L)	1	142.90
13	ამერიკანი	2.9	1	2.90
14	მწვანე ჩაი	3.9	1	3.90
15	Green Himalajin	5.9	1	5.90
16	სენდვიჩი	15.9	1	15.90
17	საქონლის სტეიკი	27.9	1	27.90
18	ქართული თხილი	6.9	3	20.70
19	ვაშლის წვენი	2.9	2	5.80
20	ნაბეღლავი	1	1.9	1.90
		თანხა დღგ-ს გარეშე		1,259.70
		დღგ		226.75
		თანხა დღგ-ს ჩათვლით		1,486.45
	მთლიანი თანხა დღგ-ს ჩათვლით			4,636.10